

დამტკიცებულია:

საქართველოს საფონდო ბირჟის
სამეთვალყურეო საბჭოს მიერ
ოქმი №1, 20 მარტი, 2000 წ.

ბოლო ცვლილებები და დამატებები შეტანილია:

საქართველოს საფონდო ბირჟის
სამეთვალყურეო საბჭოს მიერ,
ოქმი №4, 2008 წლის 11 დეკემბერი.

ინსტრუქცია სს „საქართველოს საფონდო ბირჟაზე“ ბროკერის საკვალიფიკაციო ატესტატის გაცემის შესახებ

1. ზოგადი დებულებები

- 1.1. წინამდებარე ინსტრუქციით განისაზღვრება სს „საქართველოს საფონდო ბირჟაზე“ (შემდგომში „ბირჟა“) ბირჟის წევრების (წევრების) მიერ წარდგენილ ბროკერებზე საკვალიფიკაციო ატესტატის (შემდგომში – "სერტიფიკატი") გაცემის წესი;
- 1.2. ინსტრუქციაში დამატებები და ცვლილებები შეიძლება შეტანილი იქნეს ბირჟის სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით.

2. ატესტაციაზე დაშვების წესი

- 2.1. ბროკერის ატესტაციაზე დასაშვებად და მის მიერ სერტიფიკატის მისაღებად ბირჟის წევრის ღირექტორმა უნდა წარადგინოს განცხადება საკვალიფიკაციო კომისიის თავმჯდომარის სახელზე (დანართი №1).

3. ატესტაციის ჩატარების წესი

- 3.1. ბროკერთა სავალდებულო ან განმეორებით ატესტაციას ატარებს ბირჟის გენერალური დირექტორის მიერ დამტკიცებული საკვალიფიკაციო კომისია;
- 3.2. საკვალიფიკაციო კომისია შედგება 3 წევრისაგან;
- 3.3. საკვალიფიკაციო კომისია გადაწყვეტილებას იღებს ხმათა უმრავლესობით;
- 3.4. ატესტაციის დროს საკვალიფიკაციო კომისიას შეუძლია დაიხმაროს ექსპერტები და ასისტენტები, თუ ისინი არ წარმოადგენენ ბროკერის კომპანიის თანამშრომლებს;

3.5. ატესტაციის ჩატარების თარიღი და დრო ეცნობება ბროკერს 5 დღით ადრე;

3.6. თუ ბროკერი გარკვეული მიზეზების გამო ვერ ახერხებს აღნიშნულ დღეს ატესტაციაზე გამოსვლას, 2 დღით ადრე უნდა აცნობოს საკვალიფიკაციო კომისიას ამის შესახებ;

3.7. სერტიფიკატის მისაღებად ბროკერმა უნდა გაიაროს სპეციალური სწავლება და ტესტირება;

3.8. სწავლების პროგრამა ითვალისწინებს შემდეგი დოკუმენტების და პროგრამული უზრუნველყოფის შესწავლას:

3.8.1. საქართველოს კანონი „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“;

3.8.2. საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“;

3.8.3. სს „საქართველოს საფონდო ბირჟის“ ვაჭრობის წესები;

3.8.4. სს „საქართველოს საფონდო ბირჟის“ ეთიკის კოდექსი;

3.8.5. სს „საქართველოს საფონდო ბირჟის“ დისციპლინურ დარღვევათა საპროცესო კოდექსი;

3.8.6. დებულება სს „საქართველოს საფონდო ბირჟის“ წევრების შესახებ;

3.8.7. დებულება სს „საქართველოს საფონდო ბირჟაზე“ ფასიანი ქაღალდების სავაჭრო სისტემასა და ლისტინგში დაშვების შესახებ;

3.8.8. ავტომატიზებული სამუშაო ადგილის სავაჭრო პროგრამა.

3.9. სპეციალური სწავლების ჩატარების დრო და თარიღი ეცნობება ბროკერს სწავლების დაწყებამდე 5 დღით ადრე;

3.10. სწავლებას ატარებენ ბირჟის გენერალური დირექტორის მიერ დამტკიცებული პიროვნებები;

3.11. სპეციალური სწავლების გავლის შემდეგ ბროკერებს უტარდებათ ტესტირება 3.8.1-3.8.8 პუნქტებით განსაზღვრული საკითხების საფუძველზე და გასაუბრება;

3.12. ტესტი ითვლება ჩაბარებულად, თუ ბროკერი დადებითად უპასუხებს დასმული საკითხების 65%-ზე მეტს;

3.13. უარყოფითი შედეგის შემთხვევაში ბროკერს უფლება აქვს გაიაროს ტესტირება ხელმეორედ, პირველი ტესტირების ჩატარების თარიღიდან არა ნაკლებ ერთი კვირის შემდეგ;

3.14. განმეორებითი ტესტირების რაოდენობა არ არის შეზღუდული;

3.15. ატესტაციის შედეგების საფუძველზე ბირჟის გენერალური დირექტორის ბრძანებით მტკიცდება აკრედიტებულ ბროკერთა სია და მათზე გაიცემა სერტიფიკატი.

4. აპელაციის განხილვის წესი

4.1. აპელაციას ატესტაციის შედეგების შესახებ განიხილავს სააპელაციო კომისია;

4.2. სააპელაციო კომისია ინიშნება ბირჟის გენერალური დირექტორის მიერ და შედგება 3 კაცისგან;

4.3. ტესტირების დამთავრებიდან 5 დღის განმავლობაში ბროკერს აქვს უფლება მიმართოს სააპელაციო კომისიას არგუმენტირებული აპელაციით. 5 დღის გასვლის შემდეგ აპელაცია არ მიიღება;

4.4. სააპელაციო კომისია შემოსულ აპელაციას განიხილავს 3 დღის ვადაში და გამოაქვს გადაწყვეტილება;

4.5. სააპელაციო კომისიის გადაწყვეტილება დოკუმენტური სახით გადაეცემა ბროკერს;

4.6. სააპელაციო კომისიის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ ექვემდებარება გასაჩივრებას.

5. სერტიფიკატის გაცემის წესი

5.1. საკვალიფიკაციო კომისია ატესტირების წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში ბროკერს აძლევს სერტიფიკატს;

5.2. სერტიფიკატი ბროკერზე გაიცემა ატესტირების დღიდან 5 დღის ვადაში;

5.3. ბირჟას შეუძლია მოსთხოვოს ბროკერს განმეორებითი ატესტირების გავლა:

5.3.1. ბროკერის მიმართ კლიენტის საფუძვლიანი პრეტენზიის არსებობის შემთხვევაში;

5.3.2. ფასიანი ქაღალდების მარეგულირებელი კანონმდებლობისა და ნორმატიული ბაზის არსებითი ცვლილების შემთხვევაში;

5.3.3. სავაჭრო სისტემაში ცვლილებების შემთხვევაში.

6. სერტიფიკატის ჩამორთმევის წესი

6.1. კომისიას უფლება აქვს შეუჩეროს ბროკერს და შემდეგ გაუუქმოს სერტიფიკატი ბირჟის გენერალური დირექტორის წარდგინების საფუძველზე;

6.2. ბროკერს, რომელსაც ჩამოერთმევა სერტიფიკატი, უფლება აქვს ხელმეორედ გაიაროს ატესტაცია არაუადრეს 3 თვის შემდეგ;

6.3. სერტიფიკატის ჩამორთმევის შესახებ ინფორმაცია ეცნობება ბროკერს და ბირჟის წევრებს.

(იბეჭდება განმცხადებლის საფირმო ბლანკზე)

დანართი №1

სს „საქართველოს საფონდო ბირჟის“
საკვალიფიკაციო კომისიის თავმჯდომარეს

ბირჟის წევრი _____
(დასახელება)

გენერალური დირექტორის _____
(სახელი, გვარი)

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

გთხოვთ დართოთ ნება ბირჟის წევრის ბროკერს
სერტიფიკატის მისაღებად. გაიაროს სპეციალური სწავლება

ხელის მოწერა: _____

თარიღი: _____

ბ.ა.

"ვამტკიცებ":

საქართველოს საფონდო ბირჟის

გენერალური დირექტორი

_____ *ვახტანგ სვანაძე*

2007 წლის 19 ივნისი

**საქართველოს საფონდო ბირჟაზე ბროკერთა
ატესტაციის საკვალიფიკაციო კომისია**

1. გაიოზ სანაძე – დირექტორი ვაჭრობის დარგში (კომისიის თავმჯდომარე);
2. იანა ჭეიშვილი – პროგრამული უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.

სააპელაციო კომისია

1. თამაზ სიზანიშვილი – დირექტორი ვაჭრობაზე დაშვების დარგში (კომისიის თავმჯდომარე);
2. ირინე წიკლაური – მთავარი ბუღალტერი.